



ა კ ა ნ ი ს მ ე ც ნ ი ე რ ებ ა კ ა დ ე მ ი ა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქ. შოთა რეზიდენცია — თბილისი, ქვიდვების
უბნის განხილვი, განხილვი — ენერგეტიკის სამინისტრო



№7, მაისი, 2018

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია არჩევნების წინ



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია წევრობაზე დაფუძნდებული და უშუალოდ საქართველოს მთავრობის დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

აკადემია აერთიანებს 87 წევრს (მათ შორის, 57 ნამდვილ

წევრს, 30 აკადემიის წევრ-კორესპონდენტს) და 9 სტიპენდიატს. აკადემიას ჰყავს 4 საპატიო, 2 უცხოელი საპატიო წევრი და 90 უცხოელი წევრი, რომლებიც აღიარებული მკვლევრები არიან როგორც საკუთარი ქვეყნის, ისე მსოფლიო მასშტაბით.

აკადემიის სტრუქტურულ ერთეულს ნარმოადგენს სამეცნიერო განყოფილება, სადაც ერთიანდება მეცნიერების მონ-

ათესავე დარგები. დღეისათვის აკადემიაში ნარმოდგენილია ცხრა პროფილური სამეცნიერო განყოფილება. აკადემიის შემადგენლობაშია: ქართული ენციკლოპედიის ირ. აბაშიძის სახ. მთავარი სამეცნიერო რედაქტია, აკად. გ. წერეთლის სახ. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიე-

რო ცენტრი. აკადემიის ასო-ცირებული წევრია სამედიცინო მიმართულების ცხრა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

„საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად, ეროვნული აკადემია ყოველწლიურად ახორციელებს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგების ექსპერტიზას, შეფასებას და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს.

აკადემია ახორციელებს, აგრეთვე, უცხოური დონორი ორგანიზაციებისადადანესებულებების ფინანსური მხარდაჭერით საქართველოში ჩატარებული სამეცნიერო კვლევების წლიური შედეგების შემაჯამებელი ანალიტიკური ინფორმაციის მომზადებასა და გამოქვეყნებას.

აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომებზე რეგულარულად განიხილება სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების წამყვან მეცნიერთა მოხსენებები ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის ირგვლივ, ფასდება მათი მნიშვნელობა და ისახება პერსპექტივები.

მომავალი წლიდან იგეგმება საქართველოში მოქმედი კომპანიებისა და ფირმების მიერ წარმოების ცალკეულ დარგებში ახალი ტექნოლოგიების, მოწინავე ტექნიკისა და რეკონსტრუქცია-გადაიარაღების მიმართულებით გაწეული დანახარჯების აღრიცხვა-მეფასება, რათა განხორციელდეს ქვეყანაში სამეცნიერო-ტექნოლოგიურ განვითარებაზე დახარჯული რესურსების ზუსტი აღნუსხვა, როგორც ეს მიღებულია ცივილიზებულ ქვეყნებში.

აკადემია, ამავე დროს, თავად წარმოადგენს სამეცნიერო კვლევების ერთ-ერთ

მნიშვნელოვან კერას. აქ, სამეცნიერო განყოფილებების სახით, წარმოდგენილია თანამედროვე მეცნიერების ყველა დარგი. აკადემიის წევრები ნაყოფიერად იკვლევენ მათემატიკის, საბუნებისმეტყველო დარგების (ფიზიკის, გეოლოგის, გეოფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგის, ფიზიოლოგის, მედიცინის, სოფლის მეურნეობის), გამოყენებითი მექანიკის, მშენებლობის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკის, მართვის პროცესების, ქიმიური ტექნოლოგიების, ჰუმანიტარული დარგების (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეკონომიკა, სამართალი, ფილოსოფია, ფიქოლოგია) აქტუალურ პრობლემებს, რომლის შედეგები საერთაშორისო დონეზეა აღიარებული. სრულიად განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ქართველოლოგიურ მიმართულებებს, რაც სავსებით ბუნებრივია, რამდენადაც ქართველოლოგიის განვითარებისთვის ზრუნვა საკუთრივ ქართული სამეცნიერო-კვლევითი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უპირველესი ვალდებულებაა. ბუნებრივია, მეცნიერებათა აკადემიამ, დაარსებისთანავე ამ მოვალეობის ლომის წილი იტვირთა და ამ ტრადიციას ლირსეულად განაგრძობს დღესაც. გამოქვეყნდა ფუნდამენტური გამოკვლევები საქართველოს ისტორიის, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის და ა. შ. აქტუალურ პრობლემებზე. ყველას ჩამოთვლა ძნელია, მაგრამ ზოგიერთის გვერდის ავლა შეუძლებელია: განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო დმანისის, ფიჭვნარისა და დედოფლის-წყაროს (დიდნაურის) არქეოლოგიური კვლევის შედეგებმა; გამოქვეყნდა „ქართლის

ცხოვრების“ ინგლისური თარგმანი; დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს ექვთიმე თაყაიშვილის მრავალტომეულის გამოცემის საშვილიშვილო საქმე (გამოქვეყნდა ოთხი წიგნი); მკითხველმა უკვე მიიღო ენციკლოპედია „საქართველოს“ მორიგი მესამე ტომი; ინტერესით შეხვდა საზოგადოება ფართოპლანიან ნაშრომს „ქართველები“.

აკადემიაში ნაყოფიერად მოღვაწეობს ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის შემსწავლელი ცენტრი, რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიის საპატიო წევრი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობით ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან აკადემიის პრეზიდიუმთან და სამეცნიერო განყოფილებებთან არსებული დარგობრივი კომისიები, რომელთა საქმიანობაში აკადემიის წევრებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ დარგის წამყვანი სპეციალისტები უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებიდან, მოქმედი საწარმოებიდან. კომისიების სხდომები, რომლებსაც ფართო საზოგადოების წარმომადგენლებიც ესწრებიან, სისტემატურად შეუძლება პრესითა და ტელევიზით. აკადემიის პრეზიდიუმთან ფუნქციონირებს ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრი (ხელმძღვანელი აკად. გ. კვესიტაძე), რომლის ძირითადი ამოცანებია წინადაღებების მომზადება ქვეყნის ინოვაციერი განვითარებისა და მაღალი ტექნოლოგიების გავრცელებისათვის, მეცნიერებატევადი პროდუქციისა და საექსპორტო პოტენციალის ამაღლებისათვის, ამ სფეროში სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა და



მეცნიერული უზრუნველყოფა, ეროვნული ეკონომიკის ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ბაზაზე მოდერნიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობა, აგრეთვე, ინოვაციური პროექტების კომერციალიზაციის მხარდაჭერა და სხვ. განსაკუთრებული მნიშვნელობის შედეგები მიენოდება სამთავრობო უწყებებსა და ბიზნესწრეებს. წარმატებით მუშაობს, აგრეთვე, ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც ყოველთვიურად ატარებს სხდომებს აქტუალურ თემებზე. სხდომები, ძირითადად, ეძღვნება ერთობ მნიშვნელოვანი სახელმწიფო ებრივი და ეროვნული პრობლემების შესწავლა-შეფასებას.

აკადემიის პრეზიდიუმთან ფუნქციონირებს მიწის ფონდის მართვის მეცნიერული უზრუნველყოფის მუდმივმოქმედი

კომისია (ხელმძღვანელი აკად. ა. კორახაშვილი), კომისიის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საქართველოს მიწის ფონდის, როგორც განსაკუთრებული, არაანთროპოგენული წარმომავლობის ფენომენის შეფასება, საქართველოს მიწის ფონდის (ქართველი ერისა და სახელმწიფოს არსებობის საფუძვლის) მართვის მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფციის ჩამოყალიბება და ა. შ. კომისიამ, მიწის რესურსების მართვის სხვა ქვეყნებში არსებული გამოცდილებისა და საკანონმდებლო რეგულაციის გათვალისწინებით, შეიმუშავა არაერთი მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაცია მიწის ფონდის როგორც სულიერი, კულტურული, ისტორიული, პოლიტიკური და ეკონომიკური ფენომენის მართვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნასთან დაკავშირებით.

კომისიამ ინტენსიურად იმუშავა კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების იმ ნაწილზე, რომელიც ეხება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და ოურიდიულ პირებზე ქართული მიწის გასხვისების საკითხს. კომისია ყურადღებას უთმობს კონკრეტულ მიმართულებებსაც. მაგალითისთვის, შეისწავლა ნენსკრის და ნაკრის ხეობებში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროცესში ადგილზე არსებული მიწის რესურსები, სასაზღვრო ზონებში მდინარეების კალაპოტის ცვლილებებით გამოწვეული პრობლემები, მეზობელ სახელმწიფოებთან საზღვრის დემარკაციის მიმდინარეობა, სადაცო ტერიტორიების სამართლებლივ ჩარჩოებში მოქცევის შესაძლებლობები, მიწის საკუთრებაზე არსებული საზოგადოებრივი მოთხოვნები და გამოწვევები, საქართველოს მომთაბარე მეცნიერებით.



ბა, როგორც მთისა და ბარის ინტეგრაციის ისტორიული საშუალება, და შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაციები.

ნაყოფიერად მუშაობს საქართველოს (კავკასიის) მოსახლეობის გენოფონდის შემსწავლელი კომისია (**ხელმძღვანელი პროფ. რ. შენგელია**), რომელიც კვლევებს წარმართავს ორი ძირითადი მიმართულებით: 1) საქართველოს მოსახლეობის გენეტიკური შესწავლა ძირითადი გენეტიკური მარკერების – მტდნმ, ჰაპლოჯგუფების-მიხედვით. საქართველოს გენოგეოგრაფიის, გენოფონდის სტრუქტურის დადგენა; 2) არქეოლოგიური ბიომასალის (ძვალი, კბილი, თმა) გენეტიკური კვლევა ზემოაღნიშნული მარკერების მიხედვით (ამას ემატება ბიომასალის ქიმიური და სტაბილური იზოტოპების კვლევა). ჩატარებული კვლევების შედეგები საშუალებას იძლევა შეიქმ-

ნას საქართველოს გენეტიკური ბანკი (თანამედროვე და ბიოარქეოლოგიური). აღსანიშნავია, რომ განვლილი ოთხი წლის მანძილზე, ამ პრობლემის ირგვლივ, გამოქვეყნდა კომისიის წევრთა 30-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 20 საერთაშორისო კონფერენციების მასალებსა და პერიოდულ გამოცემებში.

ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია (ხელმძღვანელი აკადემიული ჯავალიძე**)** სისტემატურად ატარებს სხდომებს, რომლებიც ეძღვნება ისეთ აქტუალურ, ერთობ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ და ეროვნულ პრობლემათა შესწავლა-შეფასებას, როგორიცაა: დემოგრაფიული მდგომარეობა, ეროვნული ცნობიერება, სამეზობლო პოლიტიკა, ეკოლოგიური ვითარება და ა. შ.

აკადემია დღოულად ეხმიანება ქვეყნის სოციალ-

ურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებს. მაგალითად, აკადემიაში მომზადებულია წინადადებები, რომლებიც ეხება ანაკლიის მშენებარე პორტის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების თბო-სიცივით მომარაგებას; ტყიბულის საწარმოო ნარჩენების (კუდების) თანამედროვე ფეროშენადნობთა წარმოებისათვის გამოყენებას. დამუშავებულია დაბალკალორიული აგროსამრენველო კომპლექსის ნარჩენებიდან სრულფასოვანი ცილის და სხვა სასიცოცხლო კომპონენტების კონვერსიის ბიოტექნოლოგიები ფრინველების და მცირე ასაკის სხვა ცხოველებისათვის.

უაღრესად ფართოა აკადემიის საერთაშორისო კონტაქტები.

აკადემია სრულუფლებიანი წევრია ისეთი საერთაშორისო სამეცნიერო გაერთიანებებისა, როგორიცაა ALLEA – ევროპის

აკადემიების ფედერაცია, AAS-SA – აზის მეცნ. აკადემიებისა და საზოგადოებების ასოციაცია, IAP – აკადემიათაშორისი ქსელი, UAI – აკადემიების საერთაშორისო გაერთიანება, ICSU – მეცნიერებათა საერთაშორისო საბჭო, მსოფლიო მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას მშიდრო სამეცნიერო თანამშრომლობა აკავშირებს საზღვარგარეთის სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები და მემორანდუმები უცხოეთის 21 აკადემიასა და უნივერსიტეტთან.

განსაკუთრებით უნდა აღი-
ნიშნოს ამ პოლო დროს დამ-
ყარებული თანამშრომლობა
ყაზახეთის საინჟინრო აკადემი-
ასთან, რაც მეტად სერიოზულ
შედეგებს მოუტანს ორივე მხა-
რეს.

განსაკუთრებული ურთიერთობები დამყარდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამეცნიერო წრეებთან. 2015 წელს საუნივერსიტეტო ქალაქ იანტაში საზემო პირობებში გაიხსნა ჩინურ-ქართული ლაბორატორია ბიოტექნოლოგის დარგში, რაც უპრეცენდენტო შემთხვევაა საქართველოს სინამდვილეში. გახსნას დაესწრო ჩინეთის პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა ელიტა და ჩინეთის ცენტრალურმა ტელევიზიამ ორგერგააშუქა აღნიშნული ფაქტი. საქართველოს მხრიდან გახსნას ესწრებოდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. კვესიგაძე და ლაბორატორიის ქართველი მეცნიერები, რომლებიც იქ იმყოფებიან მუდმივ რეჟიმში. ახლახან აკადემიას კვლავ ესტუმრნენ ჩინეთის მხარის წარმომადგენლები. გაიმართა მსჯელობა ლაბორა-

ჭორიის პერსპექტივაზე, რო-
მელიც ეხება განსაკუთრებული
მნიშვნელობის პრობლემებს.
გრძელდება აკადემიის თანა-
მშრომლობა ჩინეთის შანდო-
ნის პროვინციის მეცნიერებათა
აკადემიის ბიოლოგიის ინსტი-
ტუტთან. გაფორმდა ორმხრივი
ხელშეკრულება, რომელიც ით-
ვალისწინებსსასოფლო-სამეცურ-
ნეო მცენარეების ნამჯის ეფექ-
ტური კონვერსიის მოწინავე
ტექნოლოგიების შექმნასა და
ანართვას.

აკადემია მონაწილეობს სა-
ერთაშორისო სამეცნიერო-
კვლევითი პროექტების გან-
ხორციელებაში. აი, რამდენიმე
კონკრეტულ მაგალითი: სტიქი-
ური მოვლენებისა და კატას-
ტროფების გახშირებასთან
დაკავშირებით მთელმა რიგ-
მა სახელმწიფოებმა მიმართეს
გაეროს, რათა მას გაეწია ამ
საკითხის კოორდინაცია და შე-
საბამისი დავალებები მიეცა
გაეროს წევრი ქვეყნებისათ-
ვის. გაერომ, პირველ რიგში,
შეარჩია მსოფლიოს 12 ქვეყნის
მეცნიერებათა აკადემია, რო-
მელთაც დაევალათ ამ პრობ-
ლემის შესწავლა და რეკომენ-

დაციების შემუშავება. ამასთან
დაკავშირებით, 2015 წლის
მარტში, იაპონიის ქ. სენდაი-
ში გაერთიანებული ერების ორ-
განიზაციის მე-3 საერთაშო-
რისო კონფერენციამ მიიღო
„კატასტროფების რისკების
შემცირების (2015-2030 წე.)
სენდაის ჩარჩო-პროგრამა“,
რომელშიც მონაწილეობს სა-
ქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემია 12 ქვეყნის
აკადემიებს შორის. ისეთი მოწი-
ნავე ქვეყნები, როგორიცაა აშშ
და ჩინეთი, იწვევენ ქართველ
მეცნიერებს ერთობლივი კვლე-
ვების განსახორციელებლად.
ჩინეთის ქ. იანგაის სამეცნიე-
რო ცენტრში ფუნქციონი-
რებს საქართველო-ჩინეთის
ბიოტექნოლოგიური პროფი-

ლის ცენტრი, რომლის მუშაობის შედეგები საყოველთაო ინტერესს იწვევს. აღსანიშნავია, ამერიკული სენატორის, ბატონი ფრანკენის, მომართვა აკად. გ. კვესიტაძისადმი, ხელოვნური საწვავის შექმნასთან დაკავშირებული პროექტის განხორციელებაში ქართველ მეცნიერთა მონაწილეობის შესახებ.

ბოლო ოთხი წლის მონაცემებით აკადემიის წევრებმა საზღვარგარეთ გამოაქვეყნეს: 36 წიგნი, აგრეთვე, უცხოეთის მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნდა ოთხასზე მეტი სტატია.

აკადემიის წევრები აქტი
ურად მონაწილეობდნენ უცხო-
ურ, მათ შორის აშშ-ის, გერ-
მანიის, დიდი ბრიტანეთისა
და, რაც მთავარია, ევროგაერ-
თიანების მიერ დაწესებულ სა-
გრანტო პროექტების შესრუ-
ლებაშიც. მარტო გასულ წელს
ისანი ჩართული იყვნენ 21
უცხოურ საგრანტო პროექტში.
სახელობრ:

- აკად. გ. ჩაგელიშვილი ზოგნის უნივერსიტეტთან ერთად მონაწილეობს გერმანიის (DFG) მიერ დაფინანსებულ სამწლიან პროექტში: „ტურქულენტურ წანაცვლებით დინებებში ბეჭერის წრფივი წყაროების იდენტიფიკაცია: არამოდალური ანალიზი და რიცხვითი თვლები“ (2015-2018 წწ.).

- აკად. ე. გამყრელიძე ხელ-
მძღვანელობდა შვეიცარიის
საერთაშორისო სამეცნიერო
ფონდის (SCOPES) მიერ დაფი-
ნანსებულ საგრანტო პროექტს:
„Greater Caucasus tectonics and
paleotectonic evolution“.

• აკად. წევრ-კორ. მ. გორდე-ზიანი მონაწილეობს საგრანტო პროექტში – „სწრაფი რეაგირების სტრატეგიის შემუშავება ქიმიურად დაბინძურებული ნიადაგების გასასუფთავებლად ბიოჩიპისა და ბიოსორბენტის გამოყენებით“ (STCU-SRNSF).

• აკად. წევრ-კორ. დ. თავხელიძის მონაწილეობით საანგარიშო წელს დასრულდა ევროკომისის 7 ჩარჩო-პროგრამის პროექტი - SUAF-RI-EPC (FP7-INCO) Supporting the Uptake of agri-food Research Results into Innovation with EPC countries.

• სტიპენდიატი გ. ფარცხალაძე მონაწილეობს „Erasmus+“-ის საგრანტო პროექტში: – „ინოვაციური კომპეტენციებისა და სამეცნარმეულო უნარების ამაღლება საინჟინრო განათლებაში“.

აკადემიის წევრები მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო, მათ შორის, იმპაქტ ფაქტორის მქონე უურნალის დამაარსებლები და მთავარი რედაქტორები, სარედაქციო კოლეგიისა თუ სარედაქციო საბჭოს წევრები არიან, სახელდობრ:

• აკად. ი. კილურაძის რედაქტორობით გამოდის ორი უურნალი - „საქართველოს მათემატიკური უურნალი“ („Georgian Mathematical Journal“) და „მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“ („Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics“), რომელთა სარედაქციო კოლეგია შედგება გამოჩენილი ქართველი და უცხოული მათემატიკოსებისაგან. უურნალებში ქართველი ავტორების ნაშრომებთან ერთად იბეჭდება საზღვარგარეთის ქვეყნების, მ.შ. აშშ-ის, ავსტრალიის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, შვეიცარიის უურნალების „Journal of Dynamical and Control Systems“ და „Journal of Mathematical Sciences“ დამაარსებელი (1993 წ.) და მთავარი რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პერიოდული უურნალის – „თანამედროვე მათემატიკა და მისი გამოყენებები“ (გამოდის ინგლისურ ენაზე გამომცემლობა Springer-ში) მთავარი რედაქტორი.

მათემატიკის დარგში გამოდის, აგრეთვე, ორი საერთაშორისო უურნალი - „Journal of Homotopy and Related Structures“ (იბეჭდება გერმანიაში გამომცემლობა „Springer“-ის მიერ) და „Tbilisi Mathematical Journal“ (იბეჭდება გერმანიაში, გამომცემლობა „De Gruyter“-ის მიერ), რომელთა მთავარი რედაქტორია აკად. ხ. ინასარიძე. გარდა ქართველი მათემატიკოსებისა ორივე უურნალის სარედაქციო კოლეგიებში წარმოდგენილი არიან საზღვარგარეთის გამოჩენილი მათემატიკოსები ევროპის (დიდი ბრატანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია), აშშ-ის, კანადის, იაპონიის, ჩინეთის წამყვანი უნივერსიტეტებიდან. უურნალებს გააჩნია Thomson Reuters-ის იმპაქტ-ფაქტორი და Clarivate Analytics-Emperning Sources Citation Index.

• აკად. რ. გამყრელიძე არის რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის (ВИНИТИ) რეფერატული უურნალის – „მათემატიკის“ ტომის მთავარი რედაქტორი (1961 წლიდან), აგრეთვე, შპრინგერის უურნალების „Journal of Dynamical and Control Systems“ და „Journal of Mathematical Sciences“ დამაარსებელი (1993 წ.) და მთავარი რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პერიოდული უურნალის – „თანამედროვე მათემატიკა და მისი გამოყენებები“ (გამოდის ინგლისურ ენაზე გამომცემლობა Springer-ში) მთავარი რედაქტორი.

• აკად. ბ. ჭანკვეტაძე არის Journal of Pharmaceutical and Biomedical Analysis (Elsevier, Amsterdam) რედაქტორი. საერთაშორისო სამეცნიერო უურნალების: Electrophoresis, Journal of Chromatography A, Journal of Separation Science, Chirality, Acta Chro-

matographica, Turkish Journal of Pharmaceutical Sciences რედკოლეგიის წევრი.

• აკად. თ. ურუშაძე არის საერთაშორისო ინგლისურენოვანი უურნალის – „Annals of Agrarian Science“ („აგრარული მეცნიერების მაცნე“) მთავარი რედაქტორი, უურნალის სარედაქციო საბჭოში შედიან მეცნიერები როგორც სამხრეთ კავკასიიდან, ისე ევროპის ქვეყნებიდან (გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, უნგრეთი და ა. შ.). უურნალი ვრცელდება საზღვარგარეთის 35 ქვეყანაში.

• აკად. ლ. მანაგაძე რედაქტორობს ყოველთვიურ სამეცნიერო სამედიცინო რეცენზირებად უურნალს – „Georgian Medical News“ („საქართველოს მედიცინის სიახლენი“), რომლის სარედაქციო კოლეგია დაკომპლექტებულია ქართველი მედიკოსებისა და აშშ-ის მეცნიერების, განათლების, ინდუსტრიის, ხელოვნებისა და ბუნებისმეტყველების საერთაშორისო აკადემიის წარმომადგენლებისაგან. უურნალი ინდექსირებულია MEDLINE-ის საერთაშორისო სისტემაში, ასახულია SCOPUS-ის, PubMED-ის მონაცემთა ბაზებში.

აკადემიის 31 წევრი არის საერთაშორისო სამეცნიერო უურნალის (მათ შორის, იმპაქტ-ფაქტორის მქონე) სარედაქტორი კოლეგიის წევრი, 1 – ასოცირებული და 1 – სარედაქციო მრჩეველთა საბჭოს წევრი:

• აკად. წევრ-კორ. ნ. ალექსიძე არჩეულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების უურნალ Psychology & Psychological Research International Journal-ის სარედაქციო კოლეგიის წევრად.

• აკად. წევრ-კორ. ზ. ქევანიშვილი არის სარედაქტორი მრჩეველთა საბჭოს წევრი ამერიკის შეერთებულ შტატების

ში გამომავალი საერთაშორისო
უურნალისა The Open Otorhinolaryngology Journal.

- აკად. ვ. კოკილაშვილმა გასწინა ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომების (Transaction of A. Razmadze Mathematical Institute) 171-ე ტომის 3 ნომრის (2017 წ.) მთავარი რედაქტორობა. უურნალი განთავსებულია Elsevier-ის ბაზაში. იგი არის შემდეგი უურნალების რედკოლეგიის წევრი: Georgian Mathematical Journal. Walter De Gruyter & Co, Germany; Function Spaces and Applications. Scientific Horizont (შვედეთი-ინდოეთი); Armenian Journal of Mathematics; Euroasian Mathematical Journal. UK _ Kazakhstan.

- აკად. ა. ხარაზიშვილი არ-ის შემდეგი ოთხი საერთაშორისო მათემატიკური ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი:
 - 1) Georgian Mathematical Journal;
 - 2) Journal of Applied Analysis; 3) Applied Mathematics, Informatics and Mechanics; 4) Naukovi Visti of the National Technical University of Ukraine _ Kyiv Polytechnic Institute.

- აკად. გ. სალუქვაძე არის
საერთაშორისო უურნალის “Information Technology and Decision Making” (გამოიცემა World Scientific-ის მიერ) სარედაქციო კოლეგიის წევრი.

- აკად. ნევრო-კორ. ვ. ცი-
ციშვილი არის უურნალების
– „Известия высших учебных
заведений. Химия и химическая
технология“ და „Georgian In-
ternational Journal of Science and
Technology“ – სარედაქციო კო-
ლეგიის წევრი.

- აკად. წევრ-კორ. ლ. მელ-იქიშვილი არის: „კავკასიური მიმომხილველი – კავკასიური კვლევების ასოციაციის ჟურნალის“ – “Caucasus Survey _ The journal of the Association for Caucasian Studies” (სორბონის უნივერსიტეტი, პარიზი).

– სტიპენდიატი ა. მესხი არის
შემდეგი საერთაშორისო უურ-
ნალების სარედაქციო კოლეგი-
ის წევრი: „Transactions of A.
Razmadze Mathematical Institute”
(Elsevier) ერთ-ერთი მთავარი
რედაქტორი; „Universitas Scien-
tiarum” (კოლუმბია); „Journal of
the Prime Research in Mathematics”
(აბდუს სალამის მათემატიკურ
მეცნიერებათა სკოლა, ლაპორის
სამთავრობო კოლეჯ-უნივერსი-
ტეტი); იმპაქტ-ფაქტორის მქონე
უურნალის „Journal of Mathemat-
ical Inequalities” (JMI), ხორვა-
ტია; იმპაქტ-ფაქტორის მქონე
საერთაშორისო უურნალის
“Journal of Inequalities and Appli-
cations” (Springer) ასოცირებუ-
ლი რედაქტორი; „Commenatatio-
nes Mathematicae” (პოლონეთი).
„Research and Reports on Mathe-
matics” (SciTechnol).

საქართველოს მეცნიერება-
თა ეროვნული აკადემიის წევ-
რები მჭიდროდ თანამშრომ-
ლობენ საზღვარგარეთის
სამეცნიერო და საგანმანათლებ-
ლო დაწესებულებებთან. მაგა-
ლითად, 2017-2018 წლების მო-
ნაცემებით:

- აკად. გ. კვესიტაძე ნაყოფი-ერად თანამშრომლობს პენსილ-ვანიისა და ბერკლის უნივერსი-ტეტებთან (აშშ);

- აკად. რ. მეტროველი –
მჭიდრო კავშირი აქვს ევროპის
მეცნიერებისა და ხელოვნების აკ-
ადემიასთან (ზალცბურგი, ავსტ-
რია):

- აკად. ნ. მითაგვარია – არჩეულია ამერიკის შეერთებული შტატების BAO Health Resources Corporation-თან (ტარზანა, კალიფორნია, სამეცნიერო მრჩევალად).

- აკად. თ. გამყრელიძე – ევ-
როპის აკადემიების ფედერ-
აციასთან, ხელოვნებისა და
მეცნიერების მსოფლიო აკა-
დემიასთან;

- აკად. ვ. კოკილაშვილი –

(ა. მიცევევიჩის უნივერსიტეტი, პოზნანი, პოლონეთი); პროფესორ ა. ფიორენცასთან (ნეპოლი, იტალია), ვ. გოლდშტეინთან (ისრაელი), ო. ბესოვთან (რუსეთი), ვ. სტეკლოვის სახ. მთემატიკის ინსტიტუტი), ს. სამკოსთან (ალვაგრეს უნივერსიტეტი, პორტუგალია), ვ. მაზიასთან (ლინჩიბინგის უნივერსიტეტი, შვედეთი).

- აკად. ა. ხარაზიშვილი – ბულგარეთის მათემატიკოსთა კავშირთან;

- აკად. ე. გამყრელიძე –
ფრიბურგის (შვეიცარია) უნი-
ვერსიტეტის პროფესორ ჯონ
მოზართან;

- აკად. დ. შენგელია – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მადნეული საპადოების გეოლოგიის, პეტროგრაფიის, მინერალოგიისა და გეოქიმიის ინსტიტუტთან.

- აკად. ე. მექმარიაშვილი

- ევროპულ კოსმოსურ სააგენტოსთან და მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან;

- აკად. თ. ჭელიძე – კარლ-სრუეს ტექნოლოგიურ ინსტი-ტუტთან, გამოყენებით გეო-მეცნიერებათა გერმანიის ინსტიტუტსა და გეო-ჰიდრო-ლოგიური დაცვის კვლევ-ით ინსტიტუტთან (იტალია), სტრასბურგის უნივერსიტეტ-თან (საფრანგეთი);

- აკად. წევრ-კორ. რ. ხუროძე – საერთაშორისო გამოცემას-თან „American Journal of Intelligent Systems”;

- აკად. ე. ქემერტელიძე –
ინსპერუკისა (ავსტრია) და სა-
ლერნოს (იტალია) უნივერსი-
ტიტებთან;

- აკად. თ. საღუნიშვილი თა-
ნამშრომლობს პოლონეთის
მცენარეთა შეჯვარებისა და აკ-
ლიმატიზაციის ინსტიტუტთან,
ქ. რაძიკოვო, პოლონეთი;

- აკად. ე. ჯავახილიძე – თურქეთის წამყვან საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწისე-

ბულებებთან, აგრეთვე, აზის მეცნიერებათა აკადემიებისა და საზოგადოებების ასოციაციასა (AASSA) და მეცნიერებისა და ინიციერის ქალთა სპეციალურ კომიტეტთან (WISE);

- **აკად. წევრ-კორ. გ. ნახუცრიშვილი** – ვენის უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტისა და ინსპრუკის უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტის მეცნიერებთან კავკასიისა და აღმების მცენარეთა მრავლფეროვნების შედარებითი ანალიზის დარგში.

- **აკად. შ. სამსონია** – ზაარბრუკენის უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის ინსტიტუტთან (ხელმძღვანელი პროფ. უილ კაცმაირი) გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

- **აკად. ბ. ჭანკვეტაძე** – ამერიკულ კომპანია ფენომექსთან (Phenomenex).

- **აკადემიის წევრ-კორ. მ. კაკაბაძე** – ჰაიდელბეგის (გერმანია) უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტთან (პროფ. პ. ბენგტსონი), ობურნის (აშშ) უნივერსიტეტთან (პროფ. დ. კინგი) და რუსეთის მორეული აღმოსავლეთის (ქ. ვლადივოსტოკი) გეოლოგიის ინსტიტუტთან (აკად. ი. ზახაროვი), ცარცული სისტემის/პერიოდის ბიოსტრატიგრაფიის, სექვენსსტრატიგრაფიის, პალეოგეოგრაფიისა და პალეობიოგეოგრაფიის საკითხებზე.

- **აკადემიის წევრ-კორ. დ. ლორთქიფანიძე** – ტემპელტონის ფონდთან, ათენისა (საბერძნეთი) და სან-დიეგოს (აშშ) უნივერსიტეტებთან.

- **სტიპენდიატი ა. სხირტლაძე** – ინსპრუკის უნივერსიტეტის (ავსტრია) ფარმაციის ინსტიტუტის ფარმაკოგნოზის, აგრეთვე სალერნოს (იტალია) უნივერსიტეტის ფარმაცევტულ და ბიოსამედიცინო მეცნიერებათა დეპარტამენტებთან.

- **აკად. ე. ხინთიბიძე** – შეუასეუჯუნების ფილოსოფიის მკვლევართა საზოგადოებასთან (SIEPM);

- **სტიპენდიატი პროფ. გ. ფარცხალაძე** – შემდეგ სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან: ესპანეთი, ვალენსიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი (UPV); შვედეთი, სტოკოლმის სამეცნიერო ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (KHT); ფინეთი, ტურკუს გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი (TUAS); ბელორუსია, ბელორუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი (BSU).

- **სტიპენდიატი ი. ინაშვილი** – ქ. ვენის ბუნებრივი რესურსებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების უნივერსიტეტთან (BOKU), ქ. ვენა, ავსტრია; საერთაშორისო მართვის ცენტრის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტთან, ქ. კრემსი, ავსტრია; სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ქ. სან დიეგო, კალიფორნია, აშშ და სხვ.

- **სტიპენდიატი ნ. დარჩია** – საზღვარგარეთის შემდეგ სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან: კალიფორნიის უნივერსიტეტი, ქ. დეივისი, აშშ; ლოზანას უნივერსიტეტი, ქ. ლოზანა, შვეიცარია. იტალია.

- **სტიპენდიატი ლ. ტიელიძე** – კოლორადოს უნივერსიტეტის თოვლისა და ყინულის ნაციონალურ ცენტრთან (აშშ), ციურისის უნივერსიტეტის მსოფლიო მყინვარების მონიტორინგის ცენტრთან (შვეიცარია) და ჩრდილოეთ ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტთან (კანადა).

- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრები არჩეული არიან უცხოეთის მრავალი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიებისა და უნივერსიტეტების საპატიო წევრებად და საპატიო პროფესორებად.

აკადემია ფართოდ არის

ჩართული საერთაშორისო ფორუმებში, რომელთა მუშაობაში აკადემიის წევრები რეგულარულად მონაწილეობები: როგორც ლონისძიების თავმჯდომარეები, კოორდინატორები, მოდერატორები, მომხსენებლები. ასევე, საზღვარგარეთის გამოწევილი მეცნიერები მონაწილეობენ აკადემიის სამეცნიერო ცხოვრებაში. ალსანიშნავია, რომ გასულ წელს აკადემიის მიერ თბილისში ჩატარებული საერთაშორისო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობდნენ ნობელის საერთაშორისო პრემიის ლაურეატები აარონ ჩეხონავერი (ბიოქიმიკოსი) და დენიელ შიხტმანი (მასალათმცოდნე).

აკადემიის წევრები კითხულობენ ლექციებს უცხოეთის უნივერსიტეტებში; მონაწილეობენ უცხოური ფონდებისა და კომპანიების მიერ დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულებაში; უცხოელ კოლეგებთან ერთობლივი მუშაობით აქვეყნებენ ნაშრომებს. მარტო გასულ წელს აკადემიის წევრებმა უცხოელ კოლეგებთან თანაავტორობით გამოაქვეყნეს მრავალი ნაშრომი და, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მონაწილეობა მიიღეს 21 საერთაშორისო საგრანტო პროექტის შესრულებაში.

აკადემიის წევრებს მიღებული აქვთ არაერთი სახელმწიფო, სახელმწიფო და საერთაშორისო პრემიები, ხოლო უცხოელ წევრებს შორის არიან ნობელის პრემიის ლაურეატებიც.

რედაქტორი: ენვერ ნიუჟარაძე
დაკაბადონება: პაატა ქორქია

უწყებები – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბაში